14/01/2026

MES 4 26 0000022070

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის ,,თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის" სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის" ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;

პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის" მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის"დირექტორი, საბჭოს წევრი;

მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;

ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;

ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;

ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის" ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;

კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს მწვანე სკოლა დიღომი:
კახა დავითური - სკოლის დირექტორი
სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ გურჯაანის საჯარო სკოლა:
რუსუდან მამულაშვილი-პაპუაშვილი - სკოლის დირექტორი
შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმი:
ლალი სალდაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ზურაბ ძამუნაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N220 საჯარო სკოლა:
მანანა სამხარაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლა:
ხათუნა ცხოვრებაძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

შპს მწვანე სკოლა დიღომი:
ა) ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მარიამ კავლელიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ გურჯაანის საჯარო სკოლა:
ა) ნათელა ბასილია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო თაბაგარი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმი:
ა) ზვიად ბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნიკა უთალიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი)

სსიპ - ზურაბ ძამუნაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N220 საჯარო სკოლა:
ა) ქეთევან ბაცანკალაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,თავმჯდომარე);
ბ) ნიკა უთალიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მზევინარი დარბაისელი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ხათუნა ჯიმშიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ვალერიანე ვოლჩანსკი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლეილა ხელისუფალი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) დიმიტრი პოპოვი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თეა გაბისონია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლიანა კობესაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლა:
ა) ხათუნა ლოდია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თინა ძულიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2025 წლის 24 დეკემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1. შპს მწვანე სკოლა დიღომში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ გურჯაანის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - ზურაბ ძამუნაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N220 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლაში განხორცელებული მონიტორინგის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს მწვანე სკოლა დიღომში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს

წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 17 ოქტომბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, აღნიშნა, რომ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოვიდა მოქალაქის კორესპონდენციები და ისაუბრა საჩივრის შინაარსზე, პირველ კორესპონდენციაში საუბარი იყო „საქართველოს განათლების ჯგუფის“ მხრიდან შპს „მწვანე სკოლაში“, პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ შესაძლო დარღვევებზე. კერძოდ, განმცხადებლის თქმით, სკოლაში გაკვეთილებს სისტემატურად ატარებენ სტუდენტები მასწავლებლების ნაცვლად, რაც, მისი თქმით, 90%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის დავალებით ხორციელდებოდა და მიზანი ფინანსური რესურსების დაზოგვა იყო. აღნიშნული პრაქტიკა, განმცხადებლის თქმით, „უარყოფითად აისახებოდა სწავლების ხარისხზე და იწვევდა მოსწავლეებისა და მათი მშობლების უკმაყოფილებასა და იმედგაცრუებას“. განცხადების ავტორი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სთხოვდა, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში განეხილა საკითხი და დაედგინა, შეესაბამებოდა თუ არა სტუდენტების დასაქმება მასწავლებლის პოზიციაზე „ეროვნული სასწავლო გეგმის“, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით ან/და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით“ დადგენილ მოთხოვნებს. მეორე კორესპონდენციაში აღნიშნული იყო, რომ სკოლა ფუნქციონირებდა რამდენიმე იურიდიული პირის სახით და წარმოდგენილი იყო ავტორიზებული იურიდიული პირების სია, რომელშიც მითითებული იყო მათი დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდები, ფაქტობრივი მისამართები, აგრეთვე, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების ნომრები და თარიღები. ჩამოთვლილ იურიდიულ პირებს შორის იყო შპს მწვანე სკოლა - დიღომიც.

ექსპერტის თქმით, ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა მონიტორინგის საფუძვლებში დაფიქსირებული გარემოებები და დაწესებულების საქმიანობის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, კერძოდ:

- სკოლის ორგანიზაციული მოწყობა (სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები და მათ შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება, მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა და საგაკვეთილო ცხრილი);
- სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები;
- სკოლაში დასაქმებულთა კვალიფიკაციები;
- დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

ვიზიტის დროს, გამოთხოვილი და შესწავლილი იქნა სასკოლო დოკუმენტაცია, განხორციელდა ინტერვიუ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან.

ექსპერტის თქმით, განცხადებაში დაფიქსირებული გარემოების შესწავლის პროცესში, სკოლის დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა შემდეგი ფაქტები: სკოლაში მასწავლებლის ასისტენტის პოზიციაზე შეიძლება დასაქმებულიყო სტუდენტი. სამუშაო აღწერილობის მიხედვით მასწავლებლის ასისტენტი ასისტირებას უწევდა მასწავლებელს, ეხმარებოდა მასწავლებელს სწავლების პროცესის ორგანიზებაში და განხორციელებაში, უზრუნველყოფდა მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობასა და მხარდაჭერას, მათ შორის სსსმ მოსწავლეების. ექსპერტის თქმით, ასისტენტი ხელს უწყობდა პოზიტიური, უსაფრთხო და დამხმარე საკლასო გარემოს შექმნას, დისციპლინის დაცვას, სასწავლო რესურსების მომზადებას. თანამშრომლობდა მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და მშობლებთან, ესწრებოდა ტრენინგებსა და პროფესიული განვითარების აქტივობებს, იცავდა შინაგანაწესს, საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობდა სკოლის ღონისძიებების ორგანიზებაში. რაც შეეხებოდა ტუტორს, მისი საქმიანობა მიზნად ისახავდა მოსწავლეთა ინტელექტუალური, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების მხარდაჭერას, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას. ტუტორი ხელს უწყობდა კლასში მშვიდი, დამხმარე და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას, მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო და შემოქმედებით აქტივობებში, ინდივიდუალური პრობლემების გადაწყვეტას და აკადემიური პროგრესის უზრუნველყოფას. მისი ძირითადი ვალდებულებები მოიცავდა აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას, აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის მონიტორინგს, კომუნიკაციას მშობლებთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან, ელექტრონული ჟურნალისა და კლასის დოკუმენტაციის მართვას, უსაფრთხოების წესების კონტროლს და მონაწილეობას სკოლის ღონისძიებებში. ტუტორები, ისევე როგორც მასწავლებლის ასისტენტები, როგორც წესი გაკვეთილებს არ ატარებდნენ, თუმცა ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, აღნიშნა, რომ პრაქტიკაში დაფიქსირდა გამონაკლისები, კერძოდ, მართვის საინფორმაციო სისტემაში დაფიქსირებული მონაცემებით, მოსწავლეებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გამოვლინდა, რომ ერთი მასწავლებლის ასისტენტი იყო ამავდროულად მასწავლებლობის მაძიებელი და ატარებდა გაკვეთილებს, ასევე ტუტორების ნაწილი ატარებდა გაკვეთილებს სხვადასხვა საათობრივი დატვირთვით.

ექსპერტის თქმით, ვიზიტის დროს გადამოწმდა სკოლის პრაქტიკა გაცდენილი გაკვეთილების ჩანაცვლებასთან დაკავშირებით. გამოიკვეთა, რომ სკოლაში გაცდენილი გაკვეთილის ჩანაცვლება ხდებოდა იმავე საგნის სხვა მასწავლებლის მიერ, რომელიც ასწავლიდა იმავე საფეხურზე ან პარალელურ კლასში. ჩანაცვლება მიზნად ისახავდა მოსწავლეთა საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობასა და ხარისხის შენარჩუნებას. ჩანაცვლების ორგანიზებას ახორციელებდა სასწავლო პროცესის მენეჯერი ან დირექტორის მოადგილე, ხოლო ინფორმაცია წინასწარ იგზავნებოდა კლასის ხელმძღვანელთან და ადმინისტრაციასთან. მოსწავლეებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ ჩანაცვლების დროს გაკვეთილს ატარებდა მხოლოდ ის ტუტორი, რომელიც იყო მასწავლებელიც. მართვის საინფორმაციო სისტემის ანალიზით გამოვლინდა, რომ მასწავლებელთა ნაწილს, ისევე როგორც ტუტორების ნაწილს, რომლებიც ატარებდნენ გაკვეთილებს, არ ჰქონდათ სტატუსი. ვიზიტის ფარგლებში საჭირო გახდა თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესწავლა. ხელშეკრულებების შესწავლის პროცესში გამოვლინდა რიგი შეუსაბამობები, რომლებიც შეეხებოდა როგორც ხელშეკრულებების გაფორმებას, ისე პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის მოპოვების პროცედურას. დასაქმებულთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტის განხილვისას კი დადგინდა შეუსაბამობა სკოლის მიერ განსაზღვრულ ექიმის კვალიფიკაციასა და მოქმედ კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს შორის. კერძოდ:

- სკოლის მიერ განსაზღვრული ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივ ბრძანებით N41/ნ/01-23/ნ განსაზღვრულ ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

- დასაქმებულ მასწავლებელთა ნაწილთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები არ შეესაბამებოდა რეალურად მათ მიერ დაკავებულ პოზიციებს;
- სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად არ ჰქონდა მოპოვებული თანხმობა დასაქმებულებისგან პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებების მე-8 პუნქტით განსაზღვრული იყო „პერსონალური მონაცემების დამუშავება, გამოყენება და გავრცელება“. აღნიშნული პუნქტით სკოლა ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დასაქმებულისგან იღებდა თანხმობას რომ ამ უკანასკნელის პერსონალური მონაცემები/ინფორმაცია, რომელიც „ცნობილი გახდა შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისა და საგანმანათლებლო/სასწავლო პროცესში, სკოლის მიერ დამუშავდეს და გამოყენებულ იქნას საჭიროებისამებრ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში“. იმავე პუნქტში აღნიშნულია, რომ „წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დასაქმებული თანხმობას აცხადებდა სკოლამ სასკოლო ან/და არა სასკოლო აქტივობების (მაგ. გაკვეთილი, ექსკურსია, გასვლითი შეკრებები, სკოლის დაგეგმილი ღონისძიებები, ოლიმპიადები, კონკურსები, შეჯიბრებები და ა.შ) მიმდინარეობის პროცესში განახორციელოს მისი ფოტო/ვიდეო გადაღება, აუდიო ჩაწერა. ამ გზით მოპოვებული პერსონალური ინფორმაცია დაამუშავოს ან/და გამოიყენოს საჭიროებისამებრ.

ექსპერტის თქმით, დასაქმებულს წერილობითი განცხადებით შეუძლია უარი განაცხადოს აღნიშნული პერსონალური ინფორმაციის დამუშავებაზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ თანამშრომლის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობებზე დათანხმება ავტომატურად არ უნდა იწვევდეს პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობას, სკოლამ უნდა შეიმუშაოს ცალკე ფორმა, პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის მისაღებად და სკოლის მიდგომა სრულად შეესაბამებოდეს "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის პრაქტიკას.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, აღნიშნა, რომ მე-3 სტანდარტის (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) 3.1 კომპონენტი (პერსონალის მართვა) შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ შეფასების პროცესში დაფიქსირდა ხარვეზები, კერძოდ:

- მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების მიხედვით დადგინდა, რომ იმ პირებიდან, რომლებიც ასწავლიან ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებს, ყველას არ გააჩნდა მასწავლებლის სტატუსი. სკოლის პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის ანალიზით, ასევე მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და ტუტორებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ აღნიშნული პირები (მასწავლებლები და ტუტორები) მონაწილეობდნენ გაკვეთილების ჩანაცვლების პროცესში. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლაში მასწავლებელთა და ტუტორთა ნაწილს მასწავლებლის სტატუსი არ ჰქონდა, არსებობდა რისკი, რომ გარკვეულ შემთხვევებში გაკვეთილების ჩანაცვლება განხორციელდეს უსტატუსო პირთა მიერ;
- სკოლის მიერ წარმოდგენილი განახლებული ხელშეკრულებებისა და მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა ახალი გარემოებები კერძოდ, ორი მასწავლებლის შემთხვევაში აკადემიური დატვირთვის მოცულობა სცდებოდა იმ მაქსიმალურ ზღვარს, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული იყო მოწვეული მასწავლებლის სტატუსისთვის;
- სკოლაში დასაქმებული მასწავლებელთა ნაწილი იყო უსტატუსო; სკოლის მიერ განსაზღვრული ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ შეესაბამებოდა საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივ ბრძანებით N41/ნ/01-23/ნ განსაზღვრულ ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ მწვანე სკოლის სხვა კამპუსების საკითხი რამდენჯერმე განიხილა საბჭომ და თითქმის ყველა შემთხვევაში ფიქსირდებოდა მასწავლებელთა კვალიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემა. მისი შეფასებით ქალაქ თბილისში არ უნდა ყოფილიყო კვალიფიციური მასწავლებლის მოძიება პრობლემა და დაინტერესდა, რა იყო აღნიშნულის მიზეზი.
სკოლის დირექტორმა, კახა დავითურმა, აღნიშნა, რომ ის იყო შპს მწვანე სკოლა დიღომის დირექტორი და დამფუძნებელი და სხვა კამპუსებთან დაკავშირებით არ ფლობდა ინფორმაციას. მისი თქმით დიღმის ფილიალში იყო 275 თანამშრომელი და მათგან 140 მასწავლებლი, აქვე, დასძინა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარეობდა ხელშეკრულებების განახლება და ვიზიტის შემდგომ კიდევ რვა მასწავლებელმა მიიღო კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ შეუძლებელი იყო სტატუსის არმქონე პიროვნებას წარემართა საგაკვეთილო პროცესი, სკოლა ხელს უწყობდა ახალბედა მასწავლებლების დასაქმებას, ტუტორად და ასისტენტად, რათა მომზადებულიყვნენ შემდგომი ეტაპებისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, ტუტორ მასწავლებლებთან დაკავშირებით მეტი დეტალი ეცნობებინა საბჭოსთვის.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, აღნიშნა, რომ მოსწავლეებთან გასაუბრების დროს დადასტურდა, რომ ტუტორები ნამდვილად ატარებდნენ გაკვეთილებს, აქვე, დასძინა, რომ ვიზიტის დროს რვა მასწავლებელი ნამდვილად ელოდა სტატუსის მინიჭებას.
საბჭოს წევრმა, ირმა ამირანაშვილმა, აღნიშნა, რომ შპს მწვანე სკოლის რამდენიმე საკითხის განხილვის შემდგომ გაუჩნდა ინტერესი, თუ როგორ დგებოდა საგნობრივი კურიკულუმები.
სკოლის დირექტორმა, კახა დავითურმა, აღნიშნა, რომ კურიკულუმები შედგენილი იყო კვალიფიციური მასწავლებლების მიერ და შეესაბამებოდა ყველა მოთხოვნას.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი დაინტერესდა, სტატუსის მინიჭებამდე რა პოზიციაზე ჰყავდათ მასწავლებლები დასაქმებული.
სკოლის დირექტორის თქმით, სტატუსის მოპოვებამდე ზემოაღნიშნული პირები დასაქმებული იყვნენ როგორც მაძიებელი მასწავლებლები.
საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე დაინტერესდა, საბჭოს ჩატარების დროისთვის იყო თუ არა სკოლაში უსტატუსო მასწავლებელი და ასევე, რა მდგომარეობა იყო კვალიფიციური ექიმის დასაქმებასთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორმა, კახა დავითურმა, განმარტა, რომ შპს მწვანე სკოლა დიღომში არ იყო არც ერთი უსტატუსო მასწავლებელი, ხოლო ექიმთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა ორი ექიმი, მათგან ერთი, რომელსაც ჰქონდა კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიკაცია, დადასტურებული დოკუმენტურად, ხოლო მეორე ექიმს ჰქონდა სკოლაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, თუმცა მისი კვალიფიკაცია არ იყო დოკუმენტურად დადასტურებული. აქვე, დასძინა, რომ სკოლას ჰქონდა მხოლოდ ერთი ექიმის ყოლის ვალდებულება და მისი შეფასებით ის ფაქტი, რომ მეორე ექიმს არ ჰქონდა დადასტურებული კვალიფიკაცია, არ წარმოადგენდა რაიმე პრობლემას, თუმცა იგეგმებოდა მისი ექთნად გადაყვანა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მწვანე სკოლა დიღომის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2025 წლის 24 დეკემბერი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 15:05
დასრულების დრო: 15:09

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს მწვანე სკოლა - დიღომის (სკ: 401959528) მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 24 დეკემბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წინაშე დააყენა შუამდგომლობა. კერძოდ, აღნიშნა, რომ ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა დაწესებულებას 2026 წლის იანვარში ცენტრში უნდა წარმოედგინა მასწავლებლების მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

შპს მწვანე სკოლა-ტყის კამპუსი (სკ:404587185)
შპს თბილისის მწვანე სკოლა - დიღომი (სკ:401959528)
შპს მწვანე სკოლა-საბურთალო (სკ:405632356)
შპს მწვანე სკოლა - დიდი დიღომი (სკ:211357020)

2. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ გურჯაანის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნათელა ბასილიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 06 და 07 ნოემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 ნოემბრის N1593976 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 468 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 351.
ექსპერტმა, ნათელა ბასილიამ, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შესამჩნევი იყო ინოვაციური და თანამშრომლობითი საგანმანათლებლო გარემო, რასაც ხელს უწყობდა მისი ადამიანური და მატერიალური რესურსი. სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტს წარმოადგენდა არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, პროექტებში მონაწილეობა. სკოლა მიზნობრივად იყენებდა ტექნოლოგიებს.. დაწესებულებაში ფუნქციონირებდა კლუბები და ხორციელდებოდა საერთაშორისო პროექტები. „STEM Twinning" - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, eTwinning-ისა და საბუნებისმეტყველო საგნების მხარდაჭერისპროგრამების ფარგლებში იგეგმებოდა eTwinning-ის პლატფორმაზე ერთობლივი პროექტები STEM მიმართულებით. სასწავლო პროცესში გამოიყენებოდა „საგანმანათლებლო პლატფორმა CK-12", Advancing STEM Education პროექტში ჩართულნი იყვნენ მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრები. ექსპერტის თქმით სკოლამ გაიმარჯვა კონკურსში „NASA Space Apps Challenge 2022" და მოხვდა 420 გლობალურ ნომინანტს შორის.
ექსპერტმა, ნათელა ბასილიამ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით, 1-ელი და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით", ვინაიდან კომპონენტები 3.1 და 3.4 შეფასდა „მეტწილად".
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართა გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ შესრულებული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

- „სკოლამ წარმოადგინოს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა;
- სკოლამ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში უნდა წარმოადგინოს, თუ რა რესურსებით აპირებს დაგეგმილი აქტივობების განხორციელებას.;
- სკოლამ უნდა უზრუნველყოს თანამშრომლების მიერ უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების წარმოდგენა;
- სკოლამ უნდა წარმოადგინოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დოკუმენტი;
- სკოლამ უნდა წარმოადგინოს დასკვნა შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ;
- სკოლამ უნდა უზრუნველყოს სკოლის ექიმის აყვანა (დარღვეულია ექიმის აყვანის პროცედურა და კვალიფიკაცია არ არის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი)."

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ გურჯაანისსაჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2025 წლის 24 დეკემბერი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:20
დასრულების დრო: 15:25

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ გურჯაანისსაჯარო სკოლის (სკ/: 227752624) მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 24 დეკემბერი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის სექტემბერში (სასწავლო წლის დაწყებამდე) სკოლის ექიმის შერჩევის და შესაბამისი პროცედურების დაცვის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს,

დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 04 და 05 ნოემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.
ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართა გაიცა რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმისმონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2025 წლის 24 დეკემბერი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:39
დასრულების დრო: 15:42

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის (სკ/: 212917174) მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 24 დეკემბერი.

4. სსიპ - ზურაბ ძამუნაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N220 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ზურაბ ძამუნაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N220 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 15 და 16 ოქტომბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე, აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას დაწესებულება ახორციელებდა უკრაინულ ენაზეც. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 820. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 820-ით განსაზღვრას ეთანხმებოდა მხოლოდ ორი ცვლის პირობებში.
ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაცია და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. ექსპერტმა ისაუბრა სკოლის შესახებ და აღნიშნა, რომ სსიპ - ზურაბ ძამუნაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N220 საჯარო სკოლა დაფუძნდა და პირველი ავტორიზაცია გაიარა 2020 წელს. სკოლა ფლობს თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ შენობას, კეთილმოწყობილ ეზოს და სპორტულ დარბაზს. 2022 წელს, დაწესებულებაში გაიხსნა უკრაინული სექტორი,

სადაც ირიცხებოდა 90-ზე მეტი მოსწავლე და დასაქმებული იყო არა ერთი უკრაინის მოქალაქე მასწავლებელი. ექსპერტის თქმით, დაწესებულებაში შეინიშნებოდა ორ სექტორს შორის კეთილგანწყობილი და თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობა.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო და აღჭურვილი იყო საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ყველა რესურსით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზურაბ ძამუნაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N220 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 820-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:58
დასრულების დრო - 16:05

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ზურაბ ძამუნაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N220 საჯარო სკოლას (ს/კ: 205383306) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 820-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული; უკრაინული.	ქალაქი თბილისი, ცხრა ძმის ქუჩა N58
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, ცხრა ძმის ქუჩა N58

3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, ცხრა ძმის ქუჩა N58

5. სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ხათუნა ლოდიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 12 და 13 ნოემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 23 ოქტომბრის N1422576 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 330 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 224.
ექსპერტმა, ხათუნა ლოდიამ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით, 1-ელი, მე-3 და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა, ხათუნა ლოდიამ, ისაუბრა დასკვნაში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლის მეთოდოლოგიური დოკუმენტის მე-8 თავის მე-16 მუხლის თანახმად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მტკიცდებოდა სკოლის დირექტორის მიერ, რაც ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ დასტურდებოდა, რომ სკოლაში პერსონალის შერჩევა ხორციელდებოდა დადგენილი წესის შესაბამისად, სკოლის მიერ წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების (დარაჯი, დამლაგებლები) პირადი საქმეების ანალიზით, ვერ დასტურდებოდა აღნიშნული პირების კვალიფიკაციის შესაბამისობა. სკოლის ტერიტორიაზე მდებარეობდა ძველი საპირფარეშოს შენობა, რომლის ინფრასტრუქტურა არ შეესაბამებოდა ჰიგიენისა და უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს. აღნიშნულ ობიექტში არ იყო გამიჯნული კაბინები და არ იყო უზრუნველყოფილი აუცილებელი სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებებით. სკოლის დირექციის ინფორმაციით, აღნიშნული საპირფარეშოთი სარგებლობენ არა მხოლოდ მოსწავლეები, არამედ გარეშე პირებიც, ასევე, სკოლის სპორტული დარბაზი განთავსებული იყო სკოლის ეზოში, როგორც ცალკე ნაგებობა. სკოლის დირექტორის განცხადებით, რაც დადასტურდა მონიტორინგის დროს არსებული ფაქტობრივი გარემოებით (დარბაზში

მონიტორინგის ვიზიტისას მიმდინარეობდა ვარჯიში), აღნიშნული სივრცე გამოიყენებოდა გარეშე პირების მიერ სპორტული წრის ორგანიზების მიზნით. მიუხედავად ამისა, სკოლამ ვერ წარმოადგინა სპორტული დარბაზის იჯარით ან სხვა სამართლებრივი ფორმით გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შესაბამისად, სკოლის ტერიტორიაზე, მათ შორის სპორტულ დარბაზში, გადაადგილდებოდნენ უცხო პირები, სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე არსებული კამერების გამოსახულება ისახებოდა კომპიუტერში, რომელიც განთავსებული იყო დირექტორის კაბინეტში. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირის სამუშაო სივრცე კი სხვა ოთახში იყო განთავსებული. ამის შედეგად, ვიდეოსათვალთვალო სისტემით მიღებული ინფორმაციის უწყვეტი და სრულყოფილი მონიტორინგი ფაქტობრივად ვერ ხორციელდებოდა, არ იყო უზრუნველყოფილი შშმ პირთათვის სკოლის შენობის მეორე და მესამე სართულებზე გადაადგილების შესაძლებლობა, სკოლის საქმისწარმოების წესის 22 - ე მუხლის 22.4 პუნქტის თანახმად, მოსწავლეთა პირადი საქმეები სკოლაში ინახებოდა 3 წლის განმავლობაში, ნაცვლად 75 წლისა, სკოლის საქმისწარმოების წესის სკოლის 22-ე მუხლის 22.3 პუნქტის თანახმად, მოსწავლის სკოლიდან გადასვლის შემთხვევაში, პირადი საქმე წერილობითი განცხადების საფუძველზე ეძლეოდა მშობელს, ვებ გვერდზე არ იყო განთავსებული პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები. მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების ბმულზე ატვირთული დოკუმენტი არ შეესაბამებოდა ბმულის შინაარს, მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები სასკოლო საზოგადოებასთან არ იყო გაზიარებული.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაცია და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ შესრულებული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

- „შეიმუშავოს სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც დაეფუძნება სკოლის ფილოსოფიას, მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
- შეიმუშაოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დაეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და ყოველწლიურ თვითშეფასებას;
- შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში განისაზღვროს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, შესაბამისი რესურსები;
- სკოლამ მიმართოს შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს სკოლის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, უზრუნველყოს შენობის კონსტრუქციული მდგრადობის დოკუმენტის მოპოვება;
- უზრუნველყოს მრჩეველთა საბჭოს შექმნა, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების გაუმჯობესებისათვის.“

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, დავით მალაზონია, დაინტერესდა, ხარვეზების აღმოფხვრისთვის რა ნაბიჯების გადადგმას აპირებდა სკოლა, განსაკუთრებით კი საპირფარეშოებთან მიმართებით.
სკოლის დირექტორმა, ხათუნა ცხოვრებაძემ, აღნიშნა, რომ სკოლის შენობაში იყო სველი წერტილები, მათ შორის ადაპტირებულიც, ხოლო გარე სველი წერტილი, რომელიც მანამდე იყო საერთო სარგებლობაში, დალუქული იყო.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი დაინტერესდა, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნაში ასახულ რეკომენდაციებზე თუ ჰქონდათ დაწყებული მუშაობა სკოლის წარმომადგენლებს.

სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების შესრულებისთვის ესაჭიროებოდათ ფინანსები და დაფინანსების მიზნით მიმართული ჰქონდათ მუნიციპალიტეტისთვის და ელოდნენ შემდგომ ნაბიჯებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:20
დასრულების დრო: 16:28

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლის (სკ/: 238146243) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: 1-ელი, მე-3 და მე-4 სტანდარტები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 16:33 საათზე საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე

ელექტრონული
ფორმატი
ელექტრონული